ისტორია „ფარული საზოგადოებისა“

ფილადელფოს პივნაძე

ზ. ჯაჯინაძისა.

ფასი სამი მანეთი.

ფუნდამენტალური ბიბლიოთ.
Фундаментальная библиотека
Академия Наук Груз. ССР

1919
სტამბა „განათლება“ დ. ლ. პიცნაკასი, გორგის ქ.
თბილისი.

განცხადება

დაიბეჭდება „ფარული საზოგადოების“ შესახებ:

1) ივანე ხელაშვილი, 2) სოლომონ რაზმაძე, 3) ალექ. ჭავჭავაძე და 4) სოლ. დოდაშვილი.

ფილადელფოს კიკნაძე

ფილადელფოს კიკნაძე დაიბადა 1797 წ. პატარაობის დროს იგი გელათის მონასტერში მიაბარეს მოწაფეთ. აქა სწავლობდა იგი ნიჭიერათ. ამ დროს, რუსებს ომი ქონდათ იმერეთის მეფე სოლომონ მეორესთან. ამ მეფის ერთგული ყმანი იყვნენ კიკნაველიძენი. მთელი ეს გვარი მეფე სოლომონის ერთგულებაში მოისპო. ფილადელფოს კიკნაძეს ესეთი პიროობები დიდათ ამხნევებდა და აფიქრებდა. ეს მიეცა ამი' თვის დუმილს ასე:

როგორ, ეს რა საქნელი საქმეა, ჩემი სახლიკაცები სოლომონ მეფესთან ერთათ მტრის წინ იხოცებიან, მე კი ამ დროს, გელათის მონასტერში ბერებთან ვზივარო. ეს არ შეიძლებაო. ახალგაზრდა კიკნაძემ ისურვა სახლიკაცებში ჩარევა და რუსების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება. მან ესეც მალე მოახერხა, მალე ჩაერია სახლიკაცებში და გაიმართა მათი ცხარე ბრძოლა, ახალგაზრდა ფილოდელფოს მორჩილი იბრძოდა სამაგალითოთ და ერთგულათ.

მაინც იმერთ ვერ შესძლეს წინააღმდეგ დგომა, რუსებმა იმერეთი დაამარცხეს, ამის შემდეგ რუსებმა

იმერლებს სასტიკათ დაუწყეს დევნა. ამ დევნილებში მოჰყვა ფილოდელფოსიც. მეტი გზა არ ჰქონდა, დევნილ ოჯახის შვილს სხვა გზა უნდა აერჩია, რომ რუსეთის დევნას გადარჩენოდა. ამან მოახერხა და იმერეთიდან თფილისში გადასახლდა. გამოქცეულმა რუსის მთავრობის შიშით გვარი გამოიცვალა და კიკნაძის მაგიერ კიკნაველიძე დაირქვა. თფილისიდან მერე კახეთში გადასახლდა თავის ნათესავთან, ცოტახანს ხირსის მონასტერშიც დაჰყო.

აქ ფილადელფოსმა ქართულ გალობაში გამოიჩინა კარგი ნიჭი, შეადგინა მგალობელთა გუნდი, თვით ლოტბარი გახდა და დაიწყო გალობა. ამით მალე მოიხვეჭა სახელი, მისი საქმე ისე მოეწყო, რომ კარგი გალობის ცოდნის გამო იგი გაიცნა მთელმა იმ დროის ქართველთ წარჩინებულ პირთ და ნამეტურ ბატონიშვილებმა და ანტონ კათოლიკოზმაც, მოხდა ისიც მალე, რომ ანტონ კათოლიკოზმა ფილადელფოს მალე ჩოხაც უკურთხა. ამის შემდეგ ფილადელფოსი გახდა სახელოვანი მგალობელი და მასთან კარგი ბერიც.

ფილოდელფოსის საუბედუროთ, ამ დროს, რუსის მთავრობა ყველა ბატონიშვილებს რუსეთში ასახლებდა. ამ გვარათ გადაასახლეს ფილოდელფოსის მწყალობელი ბატონიშვილებიც და მათთან ან-

ტონ კათოლიკოზიც, რაც ერთობ მეტათ მძიმე იყო ფილადელფოს კიკნაძესთვის. ამან ესეთი ობლობა ვერ აიტანა და გადასწყვიტა, სადაც ჩემი მფარველნი იქნებიან, მეც იქ უნდა ვიყოვო. ეს მოიფიქრა და გადასწყვიტა რუსეთში წასვლა. მალეც მოახერხა და გაუდგა რუსეთის გზას.

ფილადელფოს კიკნაძემ გაიარა მთელი რუსეთი და როგორც იქმნა ჩავიდა მოსკოვს. აქ მას დახვდენ ქართველი ბატონიშვილები. მაშინ იქვე სცხოვრობდა ივანე ხელაშვილი. ბატონიშვილებმა ახალგაზრდა მორჩილი ფილადელფოსი ივანე ხელაშვილს ჩააბარეს. ივ. ხელაშვილმა იკისრა კიკნაძე ბერის აღზრდა და გამოწურთვნა. ამ დროს იქ მოხდა ნაპოლეონის შემოსევა, ივ. ხელაშვილმაც მოსკოვის აკადემიის სწავლა დაამთავრა. ამიტომ ივ. ხელაშვილი პეტროგრადს გადასახლდა და ფილადელფოსიც თან წაიყვანა. აქ ფილადელფოსი მღვდელმონოზნათ იქმნა კურთხეული. მღვდელ-მონოზნობით ეს კარგ სახელთან, ფულსაც შოულობდა, პეტროგრადში ყოფნის დროს, ფილადელფოს კიკნაძემ ბევრი რამ შეისწავლა და გაიცნა.

აქ ფილადელფოსმა გაიცნა კარგათ ქართველთ ბატონიშვილების ცხოვრება და მათი ავ-კარგიანობა, შეისწავლა კარგათ რუსული ენა და ამ ენაზედ სწავ-

ლა მეცნიერებაც. აქვე მან უალრესათ გაიცნა საქართველოს ისტორია, აქ ჩაენერგა მას განუსაზღვრელი მამულისშვილობა და საქართველოს ერისადმი დიდი სიყვარული, რასაც ივ. ხელაშვილიც უწყობდე ხელს და ახალისებდა.

ფილ. ელეფოს კიკნაძე თუმც ამ დროს პოლიტიკურათ შეგნებული კაცი არ იყო, მას მაინც დიდათ სძაგდა ის გარემოება, რომ მისი მოწყალე ბატონიშვილები რუსეთში ძრიელ უმწეოთ ხცხოვრებდნენ. მთავრობა მათ ცოტა დახმარებას აძლევდა. მთავრობა ამათ ქართველ ბატონიშვილებათაც არ სცნობდნენ, არამედ თათრის ხანებს უწოდებდნენ, რაც ფილად. კიკნაძეს დიდათ აღელვებდა და აბრაზებდა.

მოხდა ისიც, რომ ფილადელფოს გულში გაუელვა ამისთანა უსამართლო მთავრობის დამხობა და საქართველოდამ გაძევება. ეს აზრები მასში ნელ-ნელა იფურჩქნებოდა. ამ აზრების მოთანხმე მეგობრათ მან პოვა სოლომონ დოდაშვილი, ორივ ხელაშვილების მცნებით გამოზრდილები და გამოწურთვნილები. ამათთან ყოფილა ერთიც კიდევ ვილაც ბერი სერაფიონ ლეჩხუმელი. მოხდა ისიც ამ პირებში, რომ ამათ გულში ჩაეხატათ საქართველოს რუსეთის ხელიდამ განთავისუფლება, ამის მცნებით

ალივსნენ იგინი. ამის შესახებ ივ. ხელაშვილიც, რასაკვირველია, ხელს უწყობდა.

ამ ცნებით აღვსილ სოლ. დოდაშვილმა და ფ. კიკნაძემ, რუსეთში მყოფ ქართველ ბატონიშვილებში ქადაგება დაიწყეს, ამათმა ქადაგებამ მთელი ბატონიშვილები მალე აიყოლია, ყველა თანახმა და თანაზიარი იყო ამის, მაგრამ ეს როგორ უნდა მომხდარიყო და რანაირათ, იმის გეგმა უნდა შეედგინა სოლ. დოდაშვილს, აგერ ამანაც 1827 წელს უნივერსიტეტის სწავლა დაამთავრა და ამ დღიდან კი საქართველოს განთავისუფლების შესახებ დუმილს მოევლინა უკვე ფართო მომავალი და დასაწყისის განვითარებული სამზადისი.

ამ აზრის მქონი მამულიშვილები სოლ. დოდაშვილი და ფილ. კიკნაძე 1827 წ. ბოლოს უკვე თფილისში არიან მოსულნი. 1828 წ. ესენი უკვე ეძლევიან მოსვენებას. 1828 წ. ხსნიან ქართულ სტამბას. ამავე წლის ბოლოდამ იწყებენ ქართული გაზეთის „თფილისის უწყების“ გამოცემას.

1829 წ. ს. დოდაშვილი ბეჭდავს სხვა და სხვა ქართულ წიგნებს, ასევე ფ. კიკნაძე ბეჭდავს თავის ლექსებს.

1830 წ. ფ. კიკნაძე ბეჭდავს ქართულ პროკ-

ლამაციას შესახებ „საქართველოს განთავისიფლებისათვის“.

ამავე წლიდან ამ პროკლამაციებს ავრცელებს იგი თუშ-ფშავ-ხევსურ-მოხევებში.

1832 წ. ს. დოდაშვილი, ფ. კიკნაძე, სერაფ. ლეჩხუმელი, სოლომონ რაზმაძე და სხვანი აარსებენ საქართველოში „ფარულ საზოგადოებას“. ამ საზოგადოების მეთიური წევრთაგანია ფ. კიკნაძე.

ფ. პიკნაძემ „ფარველი საზოგადოების“ წევრთათვის მოიგონა და შეადგინა ქართული საიდუმლო ანბანი. „ფარულ საზოგადოების“ წეერთ ამ ანბანით უნდა ეწერათ წერილები, რომ მათი ცნობები არავის შეეტყო.

1830 წ. ფარული საზოგადოება ეძლევა გაძლიერებას. იგი იძენს ბევრს წევრებს. ფ. კიკნაძე აქ მოქმედებს ოავდადებით და დიდის ერთგულებით. ეს ჰქალაგებს შემდეგს:

ეხლა, მინამ რუსებს საქართველოში ჯერ ფეხი არა აქვთ გამაგრებული, ეხლა უნდა დავესხათ და გავრეკოთ აქედამ, თორემ თუ ამათ აქ ფეხი გაიმაგრეს, მაშინ მათი გაძევება ჩვენი მომავლის თავობისათვის ძნელი ექნება, ამიტომ ჩვენც გასაკიცხნი ვიქნებით მათგან. ეხლა უნდა გათავდეს ამათი საქმე

და ესენი გაძევებულ უნდა იქმნენ აუცილებლათ საქართველოდამ.

1832 წ. ბოლოს, სამწუხაროთ, ეს ფარული საზოგადოება დაცემულ და დამხობილ იქმნა, ვინაიდგან იგი გაცემულ იქმნა ერთის წევრისაგან. აი ამ გაცემის ამბავიც:

9 დეკემბერს, 1832 წ. შუადღის შემდეგ, 5 საათზე კავკასიის შტაბის უფროს, გენ. ვოლხოვსკის დაბეზღების ქაღალდი მისცა თავ. ევსეი ფალავანდოვმა. როგორცა სჩანს ასეთი ქაღალდი წინათაც მიუცია იმავ უფროსისათვის, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ, ვინაიდგან თავ. ფალავანდოვს იცნობდნენ როგორც არა საიმედო პირს, ხასიათით წამხდარს, ბევრის ჭუჭყიანი საქმის ჩამდენს. 1824 წ. რუსის მთავრობის წინაშე დააბეზღა სამეგრელოს მთავარი დვდიანი, ორჯერ გაქცეულიც იყო მთებში ერთხელ კონსტანტინეპოლსაც გაიქცა და ამიტომ ამის დაბეზღებაც არ სჯეროდათ.

უკანასკნელ დროს კი, 9 დეკემბერს, რომ მისცა ქაღალდი, საქმეები და ცნობები ისე უჩვენა, ყოველივე ისე აუწყა და თან თავის დაპალიმრების შესახებაც ისეთი დარიგება მისცა, რომ მეტი გზა არ ჰქონდა უფროს, ყურადღება უნდა მიექცია. ბევრის გამოკითხვის, ცნობების შეკრების და სახელისა

და გვარების დაწერის შემდეგ გენ. ვოლხოვსკიმ ეს საქმე მთავარმართებელს აცნობა, მეორე დღეს, 14 დეკემბრიდამ შეუდგნენ გამოძიებას, ჩხრეკას და დაპატიმრებას, მართლად აღმოაჩნდა ყველაფერი და მით გამართლდა თავ. ფალავანდოვის დაბეზღება, დააპატიმრეს თვით ევ. ფალავანდოვიც, რომ მასზე ეჭვი არავის აეღო,

აი რას შეიცავდა უმთავრესათ თავ. ევსეი იოს. ფალავანდოვისდაბეზღება:

ტფილისში არსებობს „ფარული საზოგადოება“ ამ საზოგადოების მეთაური წევრი ანუ დამაარსებელი გახლავსთ მასწავლებელი სოლომონ ივ. დოდაევი (დოდაშვილი). ბერი ფილადელფოს კიკნაძე, სოლომონ რაზმაძე, დიმიტრი ბატონიშვილი (იულიონის ძე) და ელისბარ ერისთავი.

ამათ აქვთ მიწერ-მოწერა რუსეთში მყოფ ქართველ ბატონიშვილებთან, მათ აძლევენ ფარულ საზოგადოების ცნობას. მიწერ-მოწერა აქვთ სპარსეთში ალექსანდრე ბატონიშვილთან, კავშირი აქვთ ლეკებთან, მიწერ-მოწერა ყარსის და არდაგნის ფაშების დახმარებით სტამბოლის მთავრობასთან და უნდათ, რომ საქართველოდამ რუსები გარეკონ, ალ. ბატონიშვილი მოიყვანონ და გაამეფონ.

დარიალის ხეობა უნდა აშოაშენონ, წინდაწინ

შეკრან გზა და იქ დააყენონ დარაჯები. რუსის მთავრობას ამ გზის ამოქოლვის შესახებ უნდა მოახსენონ, რომ ლეკები ამ გზით აპირებენ თფილისზედ დაცემას, აოხრებას და მიტომ ვამაგრებთო.

გაზაფხულის პირზე, ორთაჭალის ერთ ბაღში, უნდა გამართონ სადილი. იქ უნდა მიიპატიჟონ თფილისის ყველა რუსი და მთავარმართებელიც. დანიშნულ დროს მათთან დახოცვენ იმ ქართველთ, რომელნიც ამის წინააღმდეგნი იქნებიან, გადაწყვეტილი აქვთ, რომ უნდა მოკლან თვით მარშალი მუხრანსკი და სამოქალაქო გუბერნატორი თავ. ნიკ. ფალავანდოვი, ძმა ევსეისა, მერე ამას ნოჰყვება საერთო აჯანყება.

ამ დროისთვის აღსდგება მთელი დაღისტანი და კახეთის გზით წამოვა თბილისზე, რათა მხარი მისცენ ქართველებს რუსის გასარეკათ. ალექსანდრე ბატონიშვილიც აქ გაჩნდება სპარსეთის ჯარით. მოეშველებივნ ყარსის და არდაგანის ფაშებიც. მთელი ოსობა და მთის ხალხიც ამდგარი იქნება. ამითი აჯანყების საქმე ერისთავებს და მაჩაბლებს აქვთ ნაკისრი, კახეთისა—სხვებს და თუშ-ფშავ-ხევსურთ ამბოხება ფილ. კიკნაძეს, შუ მთის ბერს.

აჯანყების პირველ დღესვე უნდა დაეცნენ ხაზინას, სხვა და სხვა სამართველოებს და კაზარმებს.

რუსის ჯარი უნდა დაიმორჩილონ ქართველის ჯარის ძალით, იარაღი აჰყარონ და ყოველივე ქონება ჩამოართვან. თვით კიდევ გზა უჩვენონ რუსეთისაკენ ვინც აქ ისურვებს დარჩენას და ერთგულებას განაცხადებს, იმას დასტოვებენ, ხოლო ამის ფიცი უნდა დასდვას.

ამ ცნობებთა გარდა სხვა კიდევ ბევრი მისცა ფალავანდოვმა. თავ. ფალავანდოვი ფარული საზოგადოების უმთავრეს მეთაურათ სოლ. დოდაშვილს ასახელებდა და ფილადელფოს კიკნაძეს, იერომონახს, დაუძინებელ მტერს რუსეთის მთავრობის და მათ წინააღმდეგ მოქადაგეს. თავ. ევსეი ფალავანდიშვილმა ფილ, კიკნაძე ბერის შესახებ შემდეგი აუწყა მთავრობას:

კახეთში ქალალდებს კიკნაძე ბერი ავრცელებს; ქალალდების საწყობი მის მონასტერშია მოთავსებული დამალვით; ეს ამბები ბერებმაც იციან, ის ყველგან დადის და სიტყვებს ამბობს, მისივე შედგენილია ამ ფარული საზოგადოების წესდება. ქართველ სამღვდელოების და ბერების აჯანყება მას აქვს მინდობილი, მას დიდი გავლენა აქვს სასულიერო წოდებებზე.

რადგანაც ზამთარი იყო, ამიტომ მთავრობამ მცირე ხანს ამ ბერის საქმე უყურადღებოთ დასტო-

ვა. მერე კი მიაქციეს ყურადღება. მასთან მაშინ-
დელ ეგზარხოსსაც აცნობეს, რომ თქვენ სამწყოსში
ყოფილა ერთი ბერი, რომელიც წევრია ფარული
საზოგადოების და დაუძინებელი მტერი მთავრობა-
სა. ეს გარემოება იმ დროს ეექზარხოსმა და კან-
ტორამ მხედველობაში იქონია, ყურადღებაც მიაქ-
ციეს ფილადელფოს ბერს, მაგრამ საეჭვო ცნობებს
კი ვერაფერს ტყობილებდნენ.

ფარულ საზოგადოების მეთაურ წევრთა შორის
აღმოჩნდა 100 კაცზე მეტი, წვრილ თანაგრძნობათა
რიცხვი სხვა იყო. დაპატიმრების და გამოკითხვის
შემდეგ, გამოირკვა ბევრი რამ ფილადელფოსის შე-
სახებ. ახლა კი თურმე დროც მოვიდა იმისი დაპა-
ტიმრების. ეს დრო ყოფილა უკვე გაზაფხულის პირ-
ზე, 1833 წ. თებერვალში, ან მარტში. ფილ. კიკ-
ნაძეც დააპატიმრეს.

ამ დაპატიმრების შესახებ მე მიამბო თვით ფ.
კიკნაძის ამხანაგმა მღვდელ-მონოზონ გენადიმ, რო-
მელიც ქვათახევის მონასტერში სცხოვრობდა და
რომელიც მომსწრე და მნახველი იყო ფარული სა-
ზოგადოებისა წევრთა საქმიანობის. ეს ამბავი მიამ-
ბო 1883 წ. თვით გარდაიცვალა 1900 წ. ღრმად
მოხუცი. იგი ამ ამბებს სიამოვნებით ლაპარაკობდა

და თან აქებდა ფილ. კიკნაძეს. აი მისი ნათქვამი სიტყვით-სიტყვა:

გაზაფხულის პირი იყო, კახეთს, შუა-მთის მონასტერს, ერთ დღეს, დილით, სამოცი რუსის ყაზაკი გაჩნდა და 120 სალდათი. ესენი მონასტრის გალავანს გარს შეიოერტყნენ და შიგ გალავანში შემოვიდა მთავარმართებლის კაცი, იმ დროის საქართველოს ეგზარხოსი. მათ შემოჰყვა რამდენიმეც სხვა და სხვა პირი, ბერები, შევკრთით და შევშინდით. მალე ბერებს გამოუძახეს ყველას თავთავის სენაკიდან. ბერები გამოვიდნენ, მიიხმეს ფილადელფოსიც, რომელიც იმ დროს, შუა მთის წინაამძღვრის თანამდებობას ასრულებდა. ბერები გაამწკრიეს რიგზედ, ფილადელფოსიც მათ წინ დააყენეს, ფილ. კიკნიძემ რუსული ენა კარგათ იცოდა, ჩვენც გვასწავლიდა რუსულს. ეგზარხოსმა კიკნაძეს უთხრა:

— მე ძრიელ მწყინს და მერიდება, რომ ჩემს სამწყოში, ასეთ მონასტრის ბერებში მთავროობის წინააღმდეგი ცნობები გივრცელებიათ. არ მეგონა თუ ასეთ პირს ვნახავდი საქართველოს მღვდლებში და ისიც ბერებში.

ეგზარხოსი ფილადელფოსს კარგახანს ესაუბრა, მან ყოველივე უარი ჰყო. ჩვენ ქართული წიგნების საბეჭდავზე ვლაპარაკობდით და არა რუს ხემწიფის

წინააღმდეგო. მერე ეგზარხი და მოხელეები სკამებზედ დასხდნენ და სათითაოდ იხმობდნენ და ალაპარაკებდნენ ბერებს და ფილადელფოსის შესახებ ჰკითხავდნენ. ბერები არას ეუბნებოდნენ. თუ ვინმე რასმე ეუბნებოდა, ყოველივე ფილადელფოსის კარგს მართლაც შესანიშნავი კაცი იყო, ბერების მოყვარე, ხლეხ-კაცების ძმა და ყველას ამხანაგი, აბა მასზედ ცუდს ვინ რას იტყოდა. შუა მთას ჰქონდა სასწავლებელი და უფასოდ ასწავლიდა თავად-აზნაურის, თელავის მოქალაქების და გლეხთა შვილებს, ჩვენ ბერებსაც ბევრ რამეს გვასწავლიდა. ბერებს რომ ვერაფერი ცნობები ათქმევინეს, ეგზარხოხი გაწყრა, მერე თითო-თითო ბერს დააყენებდნენ და თარჯიმანით ჰკითხავდნენ.

— კიკნაძე ბერმა ალავერდობას და შუა მთობას რა ილაპარაკა ხალხში?

— ალავერდის დღესასწაულზედ, ალავერდის ცხოვრებაზედ, შუა მთის დღესასწაულზედ და მის ისტორიაზედ.

ყველა ბერმა ასე აჩვენა ცნობები.

— მაშ აბა ამ შუა მთის მონასტერზედ დაიფიცეთ, რომ თქვენ ტყუილს არ ამბობათ.

ბერებმა პასუხი მისცეს და მერე დაიფიცეს კიდეც. ზოგს ემძიმებოდა ფიცი, მაგრამ რა ექმნათ,

ფილადელფოსის ეხათრებოდათ. ეს ეგზარხოსმაც შეატყო ბერებს და სთქვა, რომ ბერებს ფილადელ-ფოსის მხარე უჭირავთო. მე მაშინ რუსული უკვე ვიცოდი და ყველაფერი მესმოდა. რუსული ჩემი ბატონის თავ. არლუთინსკის სახლში ვისწავლე. რა-დგანაც დედაჩემს ერთი შვილი ვყვანდი, მიტომ შე-მოიყვანა მონასტერში და ბერათ შევდექი, რომ მერე ბატონი აღარ წამედავოსო, შვილი ყმათ არ წამართვასო.

ცოტა ხანს შემდეგ ბერებს კიდევ დაუწყეს გა-მოკითხვა. ამ დროს გარედამ სალდათებიც შემოი-ყვანეს და მათ თან შემოიტანეს მსხვილი თოკები. ჩვენ შეგვეშინდა. ვსთქვით, დალჩობას ხომ არ გვი-პირებენო. არ ვიცოდით საქმე რაში იყო. ცოტა ხანს შემდეგ ბერები კიდევ დააფიცეს. მიზეზი მეო-რეთ დაფიცვის თურმე სხვა საქმე იყო. მერე სხვა კითხვები მოგვცეს, მაგრამ არც იმითი იქმნა რამე. მაშინ შუა მთის გალავანში ბევრა ხილის ხე იყო, თითო ბერი იმ თოკებით თითო ხეზედ მიაკრეს, მეც მიმაკრეს ერთ ხეზედ. მერე ჰკითხებს ბერებს.

— ჩვენ დანამდვილებით შევიტყეთ, კარგათ ვიცით, რომ ფილადელფოსის ბერი დადიოდა კა-ხეთის სოფლებში და რუსის მთავრობის წინააღმდეგ ლაპარაკობდა. ასე თქვენს წინაშეც ხშირად ულა-

პარაკნია ღალატისთვის. ეს ამბები თქვენც კარგათ იცით. ამიტომ გთხოვთ საქმის განცხადებას. ბერები სულ უარზედ იდგნენ. არაფერი ვიცით ჩვენ მაგისიო, მათ ვერაფერი ვერ გაიგეს. მერე შეკრულ ბერებს მისცეს ეს კითხვები:

— ფილადელფოსს აქვს მრავლად წინააღმდეგი ქალალდები, დაბეჭდილები, რასაც იგი არიგებდა ხალხში. ამ ქალალდების არაფერი გაქვთ თქვენ შენახული, ან არ იცით თუ სად ინახავდა?

1/2 დაბმულ ბერებთან მოგვიტანეს ეს ქალალდები და გვაჩვენეს, მაგრამ ყველამ უარი ვსთქვით. მერე გვითხრეა:

— თქვენ სახლებს სულ დავჩხრიკავთ და თუ სადმე რამე ვნახეთ, მაშინ თქვენ ყველას დაგსჯით, გაკრიჭავთ და რუსეთში დაგკარგავთ, აქაურობას ვეღარ ნახავთ.

ბერებმა მაინც არაფერი სთქვეს, მერე დაიწყეს ბინების ჩხრეკვა, ჩხრეკეს ყველაფერი, საყდარიც კი გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი ვერ ვერ ეპოვნეს. მერე დაუძახეს სხვა და სხვა სალდათებსაც, ამათ სოფლის ხალხიც მიუმატეს, ბარით, ნიჩბით და წერაქვებით და დააპირეს მთელი სახლების დაქცევა და ჭერების აყრა. ამაზედ წინასწარ გამოუცხადეს:

— აი, რაკი არა სტუდებით, და [illegible] ამბობთ

და ჩვენც ვერაფერი ვიპოვნეთ, ეხლა ამ თქვენ სახლებს სულ დავაქცევთ და საცა იქნება იმ ქალალდებს ვიპოვნით და მერე თქვენც საქმე ცუდათ წაგივათ.

ასეთის დამუქრებით ერთ მოხუცებულ ბერს შეეშინდა. იმას იქ ორ სართულიანი სახლი ქონდა, პატარა, ძირს ორი ოთახი იყო და მაღლა სართულს ერთი დარბაზი. შეეშინდა, ვაი თუ დამიქციონ და მით მაინც იპოვნიან ყველაფერსაო. ისევ გასცემ და მით იქნება სახლი მაინც დამირჩეს მთლათაო. ამან დაუყვირა დასაქცევად გამზადებულ ყაზახ-სალდათებს:

— მოიცადეთ, მოიცადეთ! ნურაფერს დააქცევთ, მე გეტყვნთ სადაც რა არის შენახული. აგერ, ამ მეორე სართულის ყავრულში ქვეშ, ბანზედ ერთ ალაგას გაჩიჩქნილ მიწას შენიშნავთ, ის მიწა იქით მიყარეთ, ქვეშ ფიცარი აძევს, ეს ფიცარი ახადეთ და მის ქვეშ კოჭის ხეებს შუა აწყვია ყოველისფერი. საქმე გამოირკვა, ბერებმა ერთმანეთს გაოცებით შეხედეს და დაღონდნენ.

მალე ავიდნენ იქ და ყველაფერი ჰპოვეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩამოზიდეს აუარებელი ნაბეჭდი ქალალდები. ამ ქალალდებისა ცოტა შეინახეს და დანარჩენი ცეცხლს მისცეს და იქვე დასწვეს ყველას თვალ წინ. მერე ბერებს შეეკითხნენ.

— ეს არ კმარა, აქ ქალალდები სხვა სახლებშიც იქნება დამალული. აი, იმ სახლის გარდა, ჩვენ სხვა ყველა სახლს დავაქცევთ და დანარჩენსაც ვიპოვით, გირჩევნიათ ყველანი გამოტყდეთ და სთქვათ თუ სად არის დამალული, თორემ სახლები დაიქცევა, თქვენ კარში დარჩებით ცის ქვეშ და ჩვენ კი მაინც ვიპოვნით ყველაფერს.

ბერებმა ბევრი იფიცეს, რომ მაგის მეტი აქ არაფერიაო, მაგრამ მაინც არ დაიჯერეს მათ და სახლები კი არ დაანგრიეს, ბანზედ კი თხარეს მიწა და სჩხრიკეს ჭერში, მაგრამ ვერსად ვერა იპოვნეს. ამ დროს, როცა ყაზახ-სალდათები ბანებს სთხრიდნენ და ასეთ მუშაობით იყვნენ დაბანდებულები.

ეგზარხმა ფილოდელფოს კიკნაძეს რაღაც უთხრა, იმანაც უპასუხა, მერე ეგზარხოსი მივარდა ფილადელფოსს და გულიდამ ჯვარი ააწყვიტა. ფილადელფოსმა ჯვარი უკან წაართვა და უთხრა:

— თქვენ უფლება არა გაქვთ, რომ ამ ჯვარს მტაცებთ. მე ქართველი კათოლიკოზის ნაკურთხი ვარ, ჯვარიც მისგან მაქვს ბოძებული. თქვენ კი ამის უფლება არ გაქვთ. თქვენ რუსის ეპისკოპოსი ხართ, ჩვენ და თქვენ სხვადასხვები ვართ.

ეგზარხოსმა ალარ აცალა, ჯვარის წართმევა კვლავ მოინდომა, მაგრამ ვერ წაართვა, ამიტომ

მუშტიც იხმარა, მერე ფილადელფმაც დაარტყა და ერრთმანეთი კარგათ გლიჯეს. ჩვენ ბერები რას ვიზავდით, ხეზე მიბმულები ვიყავით და სხვანი სულ ბანებსა და ყავრილებზე იყვნენ საათხრელად მოსულნი და მაყურებელნი. მერე კი ხმაურობაზე მოვიდნენ და გააშველეს. ამის შემდეგ ჩვენ აგვხსნენ და ფილადელფოს კიკნაძე კი მაგრათ შეკრეს თოკით. ამ ამბავმა დიდი თავზარი დაგვცა ბერებს, მაგრამ რალას ვიზამდით. ერთი ის კი მახსოვს, რომ როცა ბებერ ბერმა ცნობა მისცა, მაშინ ფილადელფოს კიკნაძემ იმას შეხედა თვალებში და ჩვენკენ დაბალის ხმით სთქვა, „წახდა საქმეო“. მთავარმართებლის კაცმა ფილადელფოს რუსულათ უთხრა:

— თქვენ ბერი ხართ, ხემწიფის ერთგულობაზე ფიცი გაქვთ მიცემული, მისგან ჯამაგირიც გეძლევათ და განა ეს საკადრისია თქვენთვის, რომ მონასტერში წინააღმდეგ ქალალდებს ინახავთო.

ფილადელფოსმა უარი ჰყო, მე მაგ ქალალდების საქმე სულ არ ვიცოდიო! მეც ეხლა შევიტყეო თუ არა და ჰკითხეთ იმავ ბერსო. ჰკითხეს ბერს ეს ამბავი. იმან უთხრა:

ქალაქიდამ ორი კაცი მოვიდა მონასტერში. მერე ისინი ავიდნენ იქ, გათხარეს ჭერი და იქ დაგალეს ქალალდებიო. ჩვენ გვითხრეს, რომ ეს ქა-

ლალდები საიდუმლოა, თქვენ გებარებოდეთო. იმ დროს ფილადელფოსი არ იყო აქ. იგი თბილისში იყო თუ სხვაგან სადღაც, ეს მე არ ვიცოდ. საქმე ასე დააყენეს, მაგრამ არავის არა სჯეროდათ.

ცოტა ხანს შემდეგ კიკნაძე ბირი ერთ ოთახში დაამწყმდიეს. გარს რუსის ორმოცი სალდათი შემოარტყეს და მერე თვითონ ალავერდში წავიდნენ. იქაც მოახდინეს გამოძიეაა, მაგრამ ვერაფერი ვერ ნახეს. მერე დაბრუნდნენ ისევ შუა მთაში და გამოძიება-გამოკითხვები დაიწყეს და ფილადელფოხი დამნაშავეთ იცნეს.

მერე გაუკითეს ბოროკილი, წელზე და ყელზე გრძელი თოკი მოაბეს. აე თოკის ერთი წვერი მისცეს ცხენზე მჯდომ ყაზახს ხელში და უკან ფეხით გამოიყენეს ფილადელფოსი, სადაც ცხენოსანი ყაზახებიც ფეხდაფეხ მისდევდნენ და ამ გვარათ ჩამოიყვანეს ტფილისში.

იგი ციხეში დააპატიმრეს, მერე დარიის მონასტერში, სადაც გარდაიცვალა.

დამარხვის დღეს მონასტერში მოავრობისაგან რალაც ქალალდი მოვიდა. მე მაშინ არ ვიცოდი რა ქალალდი იყო. ბერებმა სთქვეს, რომ პატიების ქალალდი იყოვო. მომღინმა მოხელვ კაცმა ეს ქალალდი ფილადელფოს საფლავზე წაუკითხა და წავიდა,

არც ეს მე არ ვიუოდი. ბერებმა კი ფილადელფოს „სამარეზე მართალი" უწოდეს. შევიტყე, რომ ფილადელფოსი ისე მალე მიტომ გარდაიცვალა, რომ მგზავროობის დროს გზაში ეცემნათო, მერე გაციებულიყო და მესამე რუსის სალდათებს რომ კარში თოფებით გაჭყვანდათ და უყურებდნენ ყარაულად ეს ერთობ ერიდებოდა, სცხვენოდა და მიტომ სიკვდილს ნატრობდა და მოკვდა კიდეკაო. სიკვდილი მისი უნდა იყოს 1837 წელსო. სწორეთ იმ წელს, როცა რუსეთშიაც სოლ. დოდაშვილი მომკვდარა.

აქედამ სხვა პირთა მოთხრობილ ამბებს ვსწერთ ფილადელფოს კიკნაძის პატიმრობის შესახებ რაფიელ ერისთავმა იცოდა.

ფილადელფოს კიკნაძე ბერი ტფალისში რომ ჩამოიყვანეს, პირველად ავლაბრის ყაზარმაში დააპატიმრეს, რადგანაც ციხეში ალაგი აღარ იყო. აქ მან დაპატიმრებული ნახა ყველა თავის ამხანაგები, ე. ი. წევრნი „ფარული საზოგადოებისა". პატიმრები ყაზარმაში სულ ჩამწკრივებულნი ყოფილან სხვადასხვა ოთახებში. კიკნაძე ბერი თუმცა გზაში თრევისაგან დაღლილი ყოფილა, მაგრამ მაინც მათჩი ყოჩალათ დატრიალებულა. უთქვამს, რაკი სბქმე ასე გათავდა, ეხლა ვეცადოთ, რომ საქმე ეგებ ისე

წავიყვანოთ, რომ ყველამ ერთმაირად ვ:ლაპარაკოთ გამოძიების დროსაო. აქ თურმე გამოიყენა თითების რაკუნით სიტყვების გაგხბის ოსტატობა. ამხანაგებმა თურმე ერთ დღეს ისწავლეს თითების რაკუნით ლაპარაკი და დაპატიმრებულნი სულ ასე თითებით ლაპარაკობდნენ და ერთმანეთს ატყობინებდნენ.

ასე ოთახის კედლების თითების რაკუნით ლაპარაკი მთავრობას გაუგია, ისიც შეუტყვიათ, რომ ფილადელფოსი ახერხებსო. ამიტომ ეს ბერი ყაზარმიდან დარიის მონასტერში გადაუყვანიათ, მასთან სხვა ბერებიც ყოფილან და ყველა დარიაში დაუპატიმრებიათ, რაც რომ ქაღალდები და ხელთ ნაწერი წიგნები ჰქონდა, ყოველავე მაშინ დაკარგულა, ამბობდნენ, რომ თვით საიდუმლო ანბანიც მიტომ მოიგონა ფილადელფოსმაო. ამ ანბანს იგი თავის ამხანაგებს ასწავლიდაო. იგი უსათუოდ ფარულ საზოგადოების წევრს უნდა შეესწავლა და საქმე რომ დასცლოდათ, მაშინ მათ თავიანთი საქმეები, მოქმედობის ცნობები და წევრთა მოპოების ცნობები ამ ახალ ანბანით ინდა ეწერათ, როდესაც ვერც მთავრობა გაუგებდა რასმეს და ვერც სხვა მტრები თვინიერ ფარულ საზოგადოების წევრებისაო. ისიც იყო ცნობილი, რომ 1830 წ. ქართველ ბერებში ძლიერ ბევრს ასწავლა თურმე ფილადელფოსმა თი-

თების რაკუნით ლაპარაკი და საიდუმლო ანბანით წერაო, მაგრამ 1832 წ. შემდეგ მას აღარავინ აჩენდა, რადგანაც შიში ჰქონდათო.

1882 წ. ნიკონ (იერომონახი) ჯობინაშვილის ნაამბობი: 1870 წ. ავლაბარში მივდიოდით მე და ტარასი არქიმანდრიტი. ავლაბრის კაზარმას რომ მიუახლოვდით, შეხედა თუ არა ამ კაზარმას, მაშინათვე ამოიოხრა და გადააფურთხა. მე არ ვიცოდი მიზეზი თუ რას ნიშნავდა. მე ვკითხე და მითხრა.

— 1832 წ. მე ამ ყაზარმაში ვიყავი დაპატიმრებული, ჩემთან ერთად სხვა ბერები და მღვდლებიც ისხდნენ, რის შეედეგ ისინი ყვალანი დარიის მონასტერში ვიქმენით გადაყვანილნი და დაპატიმრებულნი. იქ გაოდაიცვალა ბერი ფილ. კიკნაძე და ერთიც სხვა ბერი ალავერდიდან მოყვანილი.

ტარასი არქიმანდრიტს ბევრი რამ აღარ ახსოვდა, თორემ ამის შესახებ მას ბევრი ცნობები იცოდა. 1832 წლის ცნობები თუ ოდესმე საჭირო გახდებოდა და თუ ვინმე აღწერდა, ეს არ ვიცოდი, თორემ ბევრ საყურადღებო ცნობებს შევკრეფთიო, რადგან ტარას არქიმანდრიტის გარდა სხვებსაც ვიცნობდიო, რომელთაც დაწვრილებით იცოდნენ 1832 წ. ამბები. ის კი უნდა ითქვას, რომ ფილად. კიკნაძეს ყველა აქებდაო და დიდ მცოდნე კაცათ სთვლიდნენო, თქვა ამ ბერმა.